# დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

## სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

"საქართველოს სსრ სახელმწიფო ნოტარიატის დებულებისათვის 36¹ მუხლის დამატების შესახებ".

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. საქართველოს სსრ სახელმწიფო ნოტარიატის დებულებას /კან. კრებ. 1928 წ. მე-16 N-რი, მუხ. 157/ დაემატოს 36¹ მუხლი შემდეგი შინაარსისა:

"მუხ. 36¹. კერძო პირთა მიერ ქონების /შენობისა, აღნაგობის უფლებისა, სავაჭრო საწარმოს და სხვ./ გასხვისების შესახებ დადებული გარიგების სანოტარო წესით დამოწმების დროს ნოტარიუსი მოვალეა მოითხოვოს წარდგენა სათანადო საფინანსო ორგანოს ცნობისა იმის დასადასტურებლად, რომ ქონების გამსხვისებელს გადახდილი აქვს, - იმისდამიუხედავად, დადგა გადახდის ვადა თუ არა, - ყველა მისთვის შეწერილი გადასახადი; უკეთუ გამსხვისებელს ყველა ეს გადასახადი არ გადუხდია, გარიგების დამოწმება შეიძლება მხოლოდ იმ პირობით, თუ ქონების შემძენი იკისრებს პასუხისმგებლობას, რომ ქონების გასხვისების მომენტამდე გამსხვისებლისათვის შეწერილი ყველა გადასახადი თავის დროზე და სრულად იქნება შეტანილი."

სრულიად საქართველოს ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე

საქართველოს სსრ სახალხო
კომისართა საბჭოს თავმჯდომარე

სრულიად საქართველოს ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი

1929 წ. ივნისს "26"
ტფილისი-სასახლე.